



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მანქანური თარგმნა

მანქანური თარგმნა (ავტომატური თარგმნა), თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. თარგმნისათვის კომპიუტერის გამოყენების იდეა გაჩნდა აშშ-ში პირველი კომპიუტერების გამოჩენისთანავე (1947). მ. თ-ის პირველი საჯარო დემონსტრირება ჩატარდა აშშ-ში (ე. წ. ჯორჯთაუნის ექსპერიმენტი; 1954). ამ ექსპერიმენტმა მსოფლიოში დიდი გამოხმაურება პოვა, მიუხედავად მისი პრიმიტიულობისა (250 სიტყვისაგან შემდგარი ლექსიკონი, 6 წესის გრამატიკა, რამდენიმე მარტივი ფრაზის თარგმნა). მალე მ. თ-ის შექმნაზე დაიწყო მუშაობა იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში, ჩინეთში, სსრკ-სა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოში – მართვის სისტემების ინსტიტუტში (მსი), ვ. ჭიჭინაძის ინიციატივითა და ა. ელიაშვილის მხარდაჭერით შეიქმნა ახალგაზრდების ჯგუფი, რ-საც დაევალა მ. თ-ის შექმნა. ჯგუფის წევრებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ მოსკოვში ამ დარგის ცნობილ მეცნიერებთან: ი. მელჩუკთან, ლ. იორდანსკაიასთან, ი. აპრესიანთან, ნ. ლეონტიევთან, ო. კულაგინასთან და სხვ. XX ს. 60-იან წლებში შეიქმნა მათ. და ტექ. ტექსტებზე ორიენტირებული რუს.-ქართული ტექსტის ალგორითმი (ავტორები: გ. ჩიკოიძე, ლ. მარგველანი, ლ. თამარაშვილი, ჯ. ჯაფარიძე, მ. ბარბაქაძე – პროგრამული უზრუნველყოფა). რადგან თარგმნის ეს სისტემა სსრკ-ში ერთ-ერთი პირველი იყო, ისინი მ. თ. დარგის პიონერებად აღიარეს. შემდგომ ამ ჯგუფის ბაზაზე მსი-ში შეიქმნა მ. თ-ის განყ. ბა, რ-შიც დღემდე გრძელდება მუშაობა.

მ. თ-ის მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა აზრით ფართო სპექტრის ტექსტების სრულფასოვანი თარგმნისათვის აუცილებელია ენის ლინგვისტური, ანუ სინტაქსური და მორფოლოგიური ცოდნის გაერთიანება სტატისტიკაზე დაფუძნებულ სისტემებთან. 2018-

იდან მსი-ში ენის მოდელირების განყ-ბის ხელმძღვანელის, ლ. ლორთქიფანიძის ავტორობით შეიქმნა ენის ავტომატური დამუშავების სისტემები და პროგრამული პროდუქტები: თანამედროვე ქართ. ენის მორფოლ. ლექსიკონი; ენის მორფოლ. მულტიენობრივი კომპაილერი; კონკორდანსების შედგენის ნახევრად ავტომატური სისტემა; მულტიენობრივი ლექსიკური მთარგმნელის კომპაილერი.

ლ. ლორთქიფანიძე
